საქართველო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 9724017001
თარიღი:17/01/2024

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომა N-01

დ. ლენტეხი.

თამარ მეფისქ.N-24 12 იანვარი 2024წ.

მიმდინარე წლის 12 იანვარს დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა. სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 17 (ჩვიდმეტი) წევრი. სხდომას ესწრებოდა: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზვიად ლობჟანიძე.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატის) ხელმძღვანელი მაყვალა ჩანქსელიანი.

საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა სხდომაზე დამსწრე პირებს მიულოცა ახალი წელი და უსურვა წარმატებები.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა სხდომის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. **,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების ახალი შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 ნოემბრის N-97.97223151 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

   /მომხს: სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე თორნიკე გასვიანი/

2. **,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 ივნისის N-15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

   /მომხს: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ლამზირა გუგავა/

3. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებზე საწვავის (ბენზინის და დიზელის) ყოველთვიური ლიმიტის განაწილების შესახებ.**

   /მომხს: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მევლუდ ლიპარტელიანი/

4. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ .**

/მომხს: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მევლუდ ლიპარტელიანი/

5. ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შტატგარეშე მოსამსახურეთა რიცხოვნების გასაზღვრის შესახებ.

/მომხს: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დავით პირველი/

6. 2024 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე.

/მომხს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზვიად ლობჟანიძე/

სხდომის დღის წესრიგთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მევლუდ ლიპარტელიანმა - ბოლო საკითხი გადავიტანოთ დღის წესრიგში პირველ საკითხად. დანარჩენი საკითხები არის საკრებულოს კომისიების მიერ მომზადებული.

დღის წესრიგთან დაკავშირებით სხვა აზრი არ ყოფილა.

დღის წესრიგის დამტკიცების მიზნით ჩატარდა ღია კენჭისყრა.

მომხრე -17

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი შემდეგი სახით:

1. 2024 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე.

/მომხს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზვიად ლობჟანიძე/

2. ,,ლენტეხისმუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების ახალი შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 ნოემბრის N-97.97223151 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე თორნიკე გასვიანი/

3. ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 ივნისის N-15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

/მომხს: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ლამზირა გუგავა/

4. ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებზე საწვავის (ბენზინის და დიზელის) ყოველთვიური ლიმიტის განაწილების შესახებ.

/მომხს: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მევლუდ ლიპარტელიანი/

5. ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ .

/მომხს: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მევლუდ ლიპარტელიანი/

6. ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შტატგარეშე მოსამსახურეთა რიცხოვნების გასაზღვრის შესახებ.

/მომხს: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დავით პირველი/

1.მოისმინეს: მერის მოადგილემ ზვიად ლობჟანიძემ სხდომის წევრებს გააცნო საკითხი -2024 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში მაღალმთიანი დასახლებებილენტეხის მუნიციპალიტეტის განვითარების ფონდიდან განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული

პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე. მან აღნიშნა, რომ მთის ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების ღირებულება შეადგენს 790000ლარს.

კითხვა დასვა ფრაქცია ,,მოქალაქეები საქართველოსთვის" თავმჯდომარემ გოგა შავრეშიანმა - რის მიხედვით შეირჩა აღნიშნული პრიორიტეტები?

პასუხად ზვიად ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ ყველა პროექტი შერჩეულია მოსახლეობასთან შეხვედრების საფუძველზე და მათი საჭიროებებიდან გამომდინარე.

გოგა შავრეშიანმა აღნიშნა, რომ ჩოლურის თემში არის შიდა გზების პრობლემა.

პასუხად გიორგი გაზდელიანმა აღნიშნა, რომ საკრებულოს და მერიის თანამდებობის პირები შეხვდნენ ჩოლურის თემის ყველა სოფელში მოსახლეობას და შეირჩა პროექტები, რომლებიც დაფინანსდება რეგიონალური განვითარების ფონდიდან. კერძოდ ყველა სოფლის პრობლემა გათვალისწინებულია.

კითხვა დასვა მაჟორიტარმა დეპუტატმა დალი ტვილდიანმა - რცხმელურის თემში გათვალისწინებულ სანიაღვრე კედელთან დაკავშირებით- ეს არის 60 მეტროზე გათვალისწინებული და ამ დროს სოფელს სჭირდება საკმაოდ დიდ მანძილზე კედლის გაკეთება.

პასუხად მერის მოადგილემ პასუხად აღნიშნა, რომ 60000 ლარი ნამდვილად არ არის საკმარისი რცხმელურში აღნიშნული პრობლემის გადასაწყვეტად, მაგრამ გადაწყვეტილი გვაქვს პროექტი დავიწყოთ ყველაზე რთულ ადგილას. ამავე დროს ადგილობრივი ხელმძღვანელობა ელოდება სხვა ფონდებიდანაც დაფინანსებას და აუცილებლად იქნება ეს საკითხიც გათვალისწინებული.

გიორგი გაზდელიანმა დალი ტვილდიანის კითხვის პასუხად დამატებით აღნიშნა, რომ პროექტების შერჩევის დროს ვითვალისწინებთ მოსახლეობის რაოდენობასაც. მაგრამ საბოლოო ჯამში მოსახლეობის არცერთი პრობლემა არ რჩება უყურადღებოდ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით მომხრე -17

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: მოწონებული იქნას განკარგულების პროექტი - 2024 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე.

2. მოისმინეს: სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ თორნიკე გასვიანმა სხდომის წევრებს გააცნო საკითხი - ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების ახალი შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 ნოემბრის N-97.97223151 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა განმარტა, რომ იცვლება კომისიების შემადგენლობა, კერძოდ საფინანსო და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიების შემადგენლობას დაემატა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დავით პირველი.

შენიშვნა საკითხთან დაკავშირებით არ ყოფილა.

ღია კენჭისყრით:

მომხრე - 17

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: შევიდეს ცვლილება კომისიების შემადგენლობაში წარმოდგენილი სახით.

3. მოისმინეს: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ლამზირა გუგავამ სხდომის წევრებს გააცნო საკითხი - ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ" ლენტეხის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 ივნისის N-15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.მომხსენებელმა განმარტა, რომ ცვლილება შედის დადგენილების მეორე მუხლში შემდეგი სახით:

,,მუხლი 2. ხარჯების ანაზღაურების ზღვრული ოდენობა.

,,საკრებულოს თითოეულ წევრს (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გაწეული ხარჯები აუნაზღაურდება

ადგილობრივი ბიუჯეტიდან თვეში არაუმეტეს 500(ხუთასი)ლარისა.“

სხდომის თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ უხელფასო დეპუტატებმა საკრებულოს აპარატში უნდა წარმოადგინონ გაწეული ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტები. აღნიშნული დოკუმენტებზე დაყრდნობით აპარატის უფროსი აკეთებს მოხსენებით ბარათს საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე ხარჯების ანაზღაურების თაობაზე.

შენიშვნა საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

ღია კენჭისყრის შედეგით მომხრე - 17

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი - ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 ივნისის N-15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

4. მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მევლუდ ლიპარტელიანმა სხდომის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებზე საწვავის (ბენზინის და დიზელის) ყოველთვიური ლიმიტის განაწილების შესახებ.

შენიშვნა საკითხთან დაკავშირებით არ ყოფილა.

ღია კენჭისყრით:

მომხრე - 17

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებზე საწვავის (ბენზინის და დიზელის) ყოველთვიური ლიმიტის განაწილების შესახებ.

5. მოისმინეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მევლუდ ლიპარტელიანმა სხდომის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

აზრი გამოთქვა: საკრებულოს თავმჯდომარემ - მან მადლობა გადაუხადა აპარატის უფროსს სამუშაო გეგმის დროულად მომზადებისთვის და აღნიშნა, რომ ყველა საკვანძო საკითხი გათვალისწინებულია წლიურ სამუშაო გეგმაში თვეების მიხედვით. შესაბამისად საკრებულოს თანამდებობის პირებმა იმუშაონ ამ გეგმის მიხედვით.

შენიშვნა განკარგულების პროექტთან დაკავშირებით არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ განკარგულების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -17

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის სამუშაო გეგმა.

1.მოისმინეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დავით პირველმა სხდომის წევრებს გააცნო საკითხი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შტატგარეშე მოსამსახურეთა რიცხოვნების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკრებულოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია საკრებულოში გვყავდეს 9(ცხრა) შტაგარეშე მოსამსახურე.

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

ღია კენჭისყრით მომხრე -17

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შტატგარეშე მოსამსახურეთა რიცხოვნების განსაზღვრის შესახებ.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დამთავრდა 14 საათზე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი